

K 276 7/3
3



ახასიალრა ტულუნი

ახაკლის
ესტონია
11
11



საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმი

აბესალომ ტულუში

ანაკლის ისტორია

საქართველოს ქართველი
მწერების ქართველი
პედაგოგების

მ. ტულუში

ზუგდიდი
1991

14.08-91.

1(375.3) რ 9 (ც.ე.ე.ე.ე.ე.)



1) ქიხიელი სოფლები

2) ანაკლია

68.3 (2Γ)

ტ 938

ვუძღვნი მამაჩემის, ანაკლიელი
დამაშვრალი გლეხკაცის
გრიგოლ ტულუშის
ნათელ ხსოვნას.

ეს პატარა წიგნი პირველი ცდაა მდიდარი ისტორიის მქონე
შავი ზღვისპირა სოფლის, ანაკლიის წარსულის მეტნაკლები
სისრულით შესწავლისა. ნაშრომში განხილულია ანაკლიის
ისტორია უძველესი დროიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე.

სპეგ-2000
შემოსავლიანი

რედაქტორი: ლუარა კვიციანი,
რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
გამანტი პაპაიორია.

ანაკლია ერთერთი უძველესი მეთევზეთა სოფელი და ნავთსა-
ყუდელია საქართველოს შავიზღვისპირეთში. თუ მხედველო-
ბაში არ მივიღებთ მკვლევარ მ. პაჭკორიას მცირე მოცუ-
ლობის წერილს, მიძღვნილს ანაკლიის ისტორიისადმი (17 გვ.
39—45) მისი წარსული თითქმის შეუსწავლელია. წინამდებარე
ნაშრომის მიზანს სწორედ ამ დიდი და სევდიანი წარსულის
მქონე სოფლის ისტორიის მეტნაკლები სისრულით შესწავლა
წარმოადგენს.

დღევანდელი ანაკლიის მიდამოები უძველესი დროიდან
ყოფილი დასახლებული. აქ, ენგურის შესართავის მახლობლად,
1934-1936 წლებში აკაკი ჭანტურიას მიერ გათხრილ იქნა უნი-
კალური არქეოლოგიური ძეგლი „დიხა გუძუბა“-ს სახელწოდე-
ბით. სამწუხაროდ ამ ძეგლის განათხარ მასალას, რომელიც ზუგ-
დიდის მუზეუმშია დაცული, სათანადო მეცნიერული სავლე
დღიურები არ ახლავს, რაც აძნელებს ამ მასალის სრულფა-
სოვან მეცნიერულ შესწავლას. მიუხედავად ამისა, მკვლევართა
ყურადღება ამ ძეგლს არ მოჰკლებია. ჯერ ნ. ხოშტარიაშვილმა (18),
ხოლო შემდეგ ბ. კუფტინმა გამოაქვეყნეს ანაკლიის „დიხა
გუძუბა“-ს განათხარი მასალის, ერთი ნაწილი (33, გვ. 238-257).
ამჟამად კი ზუგდიდის მუზეუმში დაცულ მთელ მასალას სწავ-
ლობენ და გამოსაცემად ამზადებენ ცნობილი არქეოლოგები
ელგუჯა გოგაძე და ლილა ფანცხავა.

ანაკლიაში აკ. ჭანტურიას მიერ გათხრილი „დიხა გუძუბა“
ძვ. წ. II ათასწლეულის ნამოსახლარს წარმოადგენს. აქ გამოვლენ-
ილ იქნა ჯარგვალური ნაგებობის ნაშთები. განსაკუთრებით
მდიდარი აღმოჩნდა ეს მრავალფენოვანი ძეგლი კერამიკული
ნაწარმით, რომლის დღემდის დაუზიანებლად მოღწეულ ნიმუ-
შებს ფორმის დახვეწილობითა და შემკულობის უზადო უბრა-
ლოებით დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველები.

1972-1978 წლებში აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის



ხელმძღვანელობით და ჩემი მონაწილეობით ანაკლიის განვითარება, /
 სოფელ ჭითაწყარაში გაითხარა ადრეკოლხური სამოსახლო ^{მეცხოვეთი}
 გუძუბა“ —II. აქ აღმოჩენილ იქნა ხის ძელური (ჯარგვალური)
 ნაგებობათა ნაშთები. ირკვევა, რომ კოლხური ჯარგვალი, რომელ-
 საც, მისი ხუროთმოძღვრული ღირსებებით თავის დროზე მრავ-
 ლის მნახველი რომელი ხუროთმოძღვარი ვიტრევიუსიც კი
 განუცუფრებია, ვიტრეუსამდე 2000 წლით ადრეც ყოფილა
 ჩვენი წინაპრებისათვის ცნობილი, რადგან ანაკლიაში მიკვლეული
 ეს ძეგლი, როგორც არქეოლოგიურად, ასევე რადიონახშირბა-
 დული (14 C)მეთოდით თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის
 მიწურულით. ამ ძეგლზე დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი
 ღომის დანახშირებული მარცვლები, რაც ანაკლიაში 5000 წლის
 წინ მცხოვრებ კოლხთა მაღალ სამიწათმოქმედო კულტურაზე
 უთითებს. ირკვევა, რომ „დიხა-გუძუბა“ II-ის მკვიდრნი მესაქონ-
 ლეობას, (კრძოდ თხების მოშენებას) მისდივდნენ. აქ მიკვლეული
 კერამიკის ნიმუშები, რომელთა შორისაც უძველესი, ხელით ნაძერ-
 წი და ქსოვილიანი ჭურჭლიც გვხვდება, განსაკუთრებით აქვე
 აღმოჩენილი უძველესი სახიობის ბრინჯაოს თოხის ჩამოსახმელი
 ყალობები იმაზე უთითებენ, რომ „დიხა-გუძუბა“ II-ის მკვიდრნი
 შესანიშნავი ხელოსნებიც იყვნენ (27. გვ. 33-35).

დიხა-გუძუბა II ვფიქრობ, მტრის უეცარი თავდასხმის
 შედეგად უნდა განადგორებულიყო. ამას ვვაფიქრებინებს
 ძლიერი ხანძრის კვალი და ნაგებობის შიგნით, იატაკის დონიდან
 სულ რაღაც ორი მტკაველის სიღრმეზე მიცვალებულის (როგორც
 ჩანს თავდასხმისას მოკლულის) ჩონჩხის აღმოჩენა. ეტყობა,
 ვასაქცევად გამზადებულმა ჭირისუფალმა თავისი მოკლული სახ-
 ლიკაცი სასწრაფოდ დაკრძალა, რადგან დაუკრძალავი
 მიცვალებული, უძველესი წარმოდგენით, იმქვეყნიურ ცხოვრე-
 ბას ვერ ეღირობოდა. მხოლოდ ასე შეიძლება ავხსნათ მიც-
 ვალებულის შიგ სახლში დაკრძალვის ეს უცნაური შემთხვევა
 და სამარხეული ინვენტარის თვალში საცემი სიღარიბე,
 კერამიკით ესოდენ მდიდარ ნამოსახლარზე. (ეს მიცვალებული
 გვირდზე მოხრილად მწოლიარე იყო დაკრძალული, რადგან ჩვენი
 წინაპრების (ისევე, როგორც სხვა მრავალი ტომის) წარმოდგე-
 ნით ადამიანი იმქვეყნად ისეთივე მდგომარეობაში უნდა წასული-
 ყო, როგორადაც ის დედის მუცელშია).

ანაკლიის დიხა-გუძუბა II-ზე ძვ. წ. VI—V საუკუნეებშიც
 ჩქეფდა სიცოცხლე.



ანაკლია, კერძოდ მის განაპირა უბნად ქცეულ სოფელ თაწყარი, დიხა-გუძუბას ირგვლივ, ელინისტურ ხანაში მაოდ დასახლებული იყო. ამ ხანის რამდენიმე ნასახლარი გაითხარა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ პროფესორ თეიმურაზ მიქელაძის ხელმძღვანელობით. ახალ გადახეულზე არქეოლოგი, ამ მიდამოებში უბრალო თვალის გადავლებითაც ადვილად შეამჩნევს რამდენიმე ათეულ ნამოსახლარს, რომელთა უმრავლესობა ელინისტური ხანისა უნდა იყოს.

ბერძნულ და ლათინურ (რომაულ) წყაროებში ანაკლიის შესახებ არავითარი ცნობა არაა შემონახული. მართალია, XVII საუკუნის ფრანგ და იტალიელ მოგზაურთა და მისიონერთა (ლუი გრანჟიეს, არქანჯელო ლამბერტის და ჟან შარდენის) აზრით ანაკლიის სახელწოდება წინათ ამ ადგილას არსებული ქალაქის— პერაკლეს სახელწოდებიდან მომდინარეობს, მაგრამ ასეთი ქალაქი მართლაც რომ არსებულებოდა ანაკლიის ადგილას, ეს უეჭველად ანტიკური და ელინისტური ხანის ბერძნულ და ლათინურ წერილობით წყაროებში აისახებოდა.

ანაკლია ჩვენთვის ხელმისაწვდომ წერილობით წყაროებში მხოლოდ XVII საუკუნის დამდეგიდან იხსენიება. მაგრამ, როგორც ჩანს მისი ისტორია ბევრად უფრო ძველია.

ჯენუის ახალშენების ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. პრიმოლი, 1848 წელს პარიზში გამოცემულ წიანში „შავ ზოვანზე ვაჭრობისა და ყირიმში ჯენუელთა ახალშენების ისტორია“ წერს: „ჯენუილებს ეკავათ სამეგრელოს სანაპიროს მნიშვნელოვანი ადგილები, სიბასტოპოლისში (ძველ დიოსკურიაში) მათ ჰქონდათ თავისი სამმართველო. ანაკლიაში, რომელიც ფაზისსა და სიბასტოპოლისს შორის მდებარეობს, მათ დაარსეს თავისი დასახლება სიმაგრითურთ, რომლის ნანგრევები დღესაც ანკვიფარებს მოგზაურთ“ (41. გვ. 126) ფ. პრიმოლეს ეს ცნობა უეჭველად ჩვენთვის უცნობ წყაროს ეფუძნება და სანდოა. ამრიგად XII—XV საუკუნეებში ანაკლიაში არსებულა ძლევამოსილი იტალიური ქალაქი — სახელმწიფოს ჯენუის (რუსულად Генуя-ს) სავაჭრო ახალშენი და სიმაგრე.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ წერილობით წყაროთაგან უძველესი, სადაც იხსენიება ანაკლია, გახლავთ 1615 წელს სამეგრელოში ნამყოფი ფრანგი კათოლიკე მისიონერის, ლუი გრანჟიეს წერილი (7, გვ. 179), ანაკლია დატანილია XVII საუკუნის მეორე

ნახევრის თურქულ რუკაზე (1, გვ. 103) და ამავე მიწურულს გეოგრაფოს სანსონის მიერ შედგენილ, რუკაზე (34. გვ. 107). საუკუნის
ფრანგულ
უკიდურეს
პოლემიკას

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა საქართველოში, საყურადღებო ცნობას გვაწვდის ანაკლიის შესახებ.

„ანაკლია სოფელია, რომელიც ზღვიდან ორი მილით არის დაცილებული. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია სამეგრელოში. აქ ასამდე სახლია, რომლებიც იმდენად შორსაა ერთმანეთისაგან, რომ პირველი სახლიდან ბოლო სახლამდე მანძილი ორ მილს შეადგენს. (შარდენის მოგზაურობა. თბ. 1975 წ. (22. გვ. 214).

პეტრ ტოლსტოი 1704 წელს შედგენილ „შავი ზღვის აღწერილობაში“ ანაკლიას შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნავსაყუდლების გვერდით მოიხსენიებს. უწოდებს რა მას **Мингрельская гольфа Анакра-ს**. (29. გვ. 337).

სოფელ ანაკლიის ადრინდელი მდებარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833) და კარლ კოხის (1809-1879) თხზულებებში. გამბას ცნობით ანაკლიის ნავსადგური გაშენებულია მდინარეების აჩისა და ენგურის შეერთების ადგილას (4, გვ. 94). კ. კოხის მიხედვითაც „ანაკლია მდებარეობს იქ, სადაც ინგური და აფიზი უერთდება ერთმანეთს“. აფიზი ენგურის რომელიღაც მარცხენა შენაკადი უნდა იყოს, (შესაძლოა დღეე ციციკოვი იგულისხმებოდეს).

ანაკლია, როგორც უკვე ითქვა, მეთევზეთა სოფელი იყო. არქანჯელო ლამბერტის ცნობით სამეგრელოში თევზჭერას უმთავრესად რიონისა და ენგურის შესართავთან მცხოვრებნი მისდევდნენ. „ამ ადგილების მკვიდრნი შუა აგვისტოში თავს ანიბებენ ყოველგვარ სხვა საქმიანობას და მთლიანად თევზჭერას ჰკიდებენო ხელს“ — წერს ლამბერტი. (10. გვ. 143.)

კარლ კოხიც (1809-1879), რომელმაც 1836 წელს იმოგზაურა სამეგრელოში, ანაკლიის შესახებ აღნიშნავს, რომ „ამჟამად იგი მეთევზეების სოფელიაო“ (8. გვ. 137).

ქართული საბუთების მონაცემებითაც ანაკლია მეთევზეთა სოფელი ჩანს. 1628 წელს ლევან II დადიანმა ბეკინტის საკათალიკოსო ტაძარს შესწირა ანაკლიელი მეთევზეები, თაცული წაწულყო და კოჩილა ჩოდუა. მათ ბევრ სხვა რამესთან ერთად ვეალებოდათ „ერთი მთელი თევზი“-ს გადახდა (9, გვ. 40-47).

ანაკლიელი მეთევზეები ზუთხით, ანჯაქიათი, ფორონჯით და სხვა სახის თევზით, აგრეთვე ხიზილალთ, რომელსაც მეგრელები პუტარგს ეძახდნენ (4, გვ. 94) მთელს სამეგრელოს რაგებდნენ.

ანაკლია სამეგრელოს მნიშვნელოვან ნავთსაყუდელს და სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა.

იტალიელი კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე ძამპი 1674 წელს წერდა: „ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშია. თვით ხომალდები, რომლებიც მოდიოდნენ კავროსსა და მორბილაში, ახლა შიშის გამო ანარგიაში მიდიანო“ (7, გვ. 205).

1640 წელს სამეგრელოში ნამყოფი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების (1611-1683) ცნობით სამეგრელოში სავაჭრო გემები იგლისში და ქირნახულის ადგიბის დროს მოდიოდნენ. ჩამოჰქონდათ მარლი, ქურჭელი, რკინეულობა, იარაღი და მათ ცვიოდნენ ბზაზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე და გოგო-ბიჭებზე (19, გვ. 95-96).

ჯან შარდენი (1643-1713) კი წერს, რომ „ყოველ წელს აქ (სამეგრელოში) მოდისო თორმეტიოდე იალქნიანი ხომალდი კონსტანტინეპოლიდან და კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდახ, ირსიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში ტყვეების გარდა იტვირთება აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კედრის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილით და თაფლით“ (22, გვ. 124).

შარდენისავე ცნობით ანაკლიაში „ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნავები, რომლითაც მიჰყავთ ისინი“ (221, გვ. 215).

სამეგრელოში ჩამოსული უცხოური სავაჭრო ხომალდების დიდი ნაწილი ანაკლიის ნავსაყუდლით სარგებლობდა.

ტყულობით ვაჭრობა ანაკლიაში XIX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა.

1808 წელს რუსი მოხილვე ლიტვინოვი ამის შესახებ წერდა: „რუსთა ჯარის მოსვლამდე ანაკლია... ტყვეებით სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. აფხაზ და მეგრულ თავადებს იქ მიჰყავდათ და თურქებზე ჰყიდდნენო მათ“ (36, გვ. 519) ასეთივე ცნობას გვაწვდის სემიონ ბრონევსკიც (1763-1830), თავის 1810 წელს დაწერილ წიგნში:

„მეგრელი თავადები ... განსაკუთრებით ტყვეების ცდილობენ, შემდეგ ასინი მიჰყავთ გასაყიდად ფოთსა და ანაკლიაში“ (30, გვ. 49).

ანაკლია, როგორც ტყვეებით ვაჭრობის ერთერთი უმთავრესი ადგილი საქართველოში ზეპირსიტყვიერებაშიცაა ასახული. ჩემს მიერ 1984 წელს სოფელ უჩაშონაში ღილია სოფრობის ასულ როგავასაგან (დაბად. 1898 წ.) ჩაწერულ ერთ ლექსში ნათქვამია:

„ანარკია გიოჰვალს, თურქიმ ხვამალდ მიკობიჯუ
ხვარძიკია ეჭყვადილქ სკუა ეთექ გეგმომიჩუ“.

„დასაწვავ ანაკლიაში თურქის ხომალდი მიყუდებულა,
ამოსაწყვეტმა ხვარძიკიამ შვილი იქ გამიყიდა“.

ძველ სამეგრელოში არსებობდა ხატოვანი წყევლა: „ანარკიაში მიღურაყუდათია“— „ანაკლიაში გაერეკეთო“ (ე. ი. თურქებზე გაეყიდეთო).

თვით სახელწოდება ანაკლია II ანარკიას ადგილობრივი, ფოლკლორული ეტიმოლოგიაც სწორედ ტყვეებით ვაჭრობის მოტივს უკავშირდება (ანა რკიანს—ანა ჰკივის, აღნარკია—ნაკივ-ლევი ადგილი).

ანაკლია, თუკი XVII საუკუნის იტილიურ წყაროებს დავუჯერებთ საეკლესიო ცენტრიც ყოფილა. ჯოვანო ჯულიანო და ლუკა (გარდ. 1646 წ.), რომელმაც 1630 წელს მოიხილა საქართველოს ზღვისპირეთი წერს, რომ ანაკლიაში საეპისკოპოსო ტაძარი იყო და ანაკლიელი ეპისკოპოსი იჯდა. ამჟამად კი ეს ეკლესია უკვე აღარ არსებობს (21, გვ. 156).

ასეთივე ცნობას გვაწვდის არქანჯელო ლამბერტიც (10. გვ. 121), როგორც ჩანს და ლუკას და არქანჯელო ლამბერტის ცნობებს ეყრდნობა 1714 წელს პარიზში გამოცემული შიგნის „სამონასტრო სამშოთა ისტორიის“ ავტორი იპოლიტე ელიო, როცა სამეგრელოს საეპისკოპოსოებს შორის მოიხსენიებს ანაკლიასაც.

ანაკლიის ისტორიის ბოზოქარი ხანა იწკება XVIII საუკუნის დამდეგს თურქთა მიერ აქ ციხესიმაგრის აშენების დღიდან.

1702 წელს, იმ ხანად იმერეთის მმართველმა (შემდეგ კი მეფემ)—გიორგი აბაშიძემ თურქებს მისართმეველის გაგზავნაზე უარი განუცხადა. მის მაგალითს მიბაძეს ოდიშის მთავარმა



გიორგი დადიანმა (1701-1709) და გურიის მთავარმა მამია მამიაშვილმა ამის პასუხად 1703 წლის ზაფხულში თურქეთისა დასავლეთ საქართველოში შემოიჭრნენ. მტრის ლაშქარი, რომელშიც გრიგოლ მახაძის (1669-1729...) ცნობით 80000 კაცი იყო, არზრუმის ფაშის ქუსჯი ხალილის მთავარსარდლობით სამი მხრიდან შემოესია ჩვენს ქვეყანას. ერთი ნაწილი გურიაში შეიჭრა, მეორე იმერეთში, თურქთა ხომალდიონი კი სამეგრელოს ნაპირებს მოადგა და აქ გადმოსხა ჯარები. სწორედ ამ დროს, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ოსმალებმა „აღაშენეს ანაკლიის ციხე“ (2, გვ. 864). როგორც ოსმალური დოკუმენტებიდან ჩანს ეს ციხე-სიმაგრე ხისა ყოფილა. დღემდის მიღწეული ქვით ნაგები სიმაგრე კი, როგორც ირკვევა 1731 წელსაა აგებული.

ანაკლიაში დღემდე მოღწეული ქვის ციხე-სიმაგრის აგების ამბავი დაწვრილებითაა აღწერილი ერთ თურქულ დოკუმენტში, რომელიც დაწერილია 1731 წლის 11 ივლისს. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ დროს „ანაკლიის ციხე მთლიანად ხის მორებისა და თიხისაგან აშენებული ციხეა“. წინა წილს მას აფხაზები დაცემიან და მისი ნაწილი ცეცხლისთვის მიუციათ, ამიტომ საჭირო გამხდარა მისი განახლება. ანაკლიის ციხის განახლება ებრძანა ფოთის ციხის ალა ვექილს, პასჯი აღილს, რომელმაც თავისი ჯარისკაცებით, არათუ განახლა, ქვის კედლებიც შემოავლო და მომცრო კოშკებიც ჩააშენა კუთხეებში. ციხის ასაშენებლად საჭირო ქვები ხოფადან ხომალდებით მოზიდეს, სტამბოლიდან ქვით ხუროები და ხით ხუროები ჩამოიყვანეს, მშენებლობისათვის საჭირო სხვა მასალებიც ჩამოიტანეს და ზამთრის პირისთვის მშენებლობაც დაამთავრეს. ამ დოკუმენტში აშენებული ციხეც კია დაწვრილებით აღწერილი: „სიგრძე-სიგანე 40-40 წყრთა იყო, ხოლო ოთხკუთხედი ფართობი 1600 წყრთა. ოთხკუთხედად იყო ნაგები. ყოველ კუთხეში მომცრო კოშკი ააგეს. პატარა მტკიცე ციხის საკეტი გაუკეთეს, შიგნით კი ალას კარი, მეციხოვნის კარი, გამოსაზამთრებელი, პატიოსანი ჯამე პატარა თავშესაფარი აშენდა; სასწრაფოდ“. (23, გვ. 67).

ოღიშის მთავარი არასოდეს შერიგებია ანაკლიისა და რუხის ციხეებში ოსმალთა ციხიონის ყოფნას. ანაკლიაში ციხე-სიმაგრის



ამენების მეორე წელსვე, 1704 წელს, ქუთაისის ყადი
 ომერი თავის მთავრობას ატყობინებდა: „ამას წინათ აჯანყებულნი
 მა დადიანმა ანაკლიის ციხე დაიკავა და შიგ მყოფ
 იბადულ ლაპთან ერთად დაწვაო“ (23, გვ. 21). ეს ამბავი აღწე-
 რილია ანაკლიის თურქი მეციხოვნეების ერთ უთარილო წერილ-
 შიც, საიდანაც ირკვევა, რომ ოდიშის მთავრის რაზმები, ანა-
 კლიის ციხეს „მუდამ თავს ესხმოდნენ“ (23, გვ. 22.)

თურქებმა მალე დაიბრუნეს ანაკლიის ციხე. ტრაპიზონის ვალის,
 ვეზირ იუსუფ ფაშას მიერ 1705 წელს გაცემული ბრძანებით
 თურქთა ხომალდიონი კვლავ მოადგა სამეგრელოს ნაპირებს და
 გადმოსხა ჯარები, რომლებმაც ანაკლიისა და რუხის ციხეები
 აიღეს და იქ კვლავ თავისი ციხიონი ჩააყენეს. ეს მოხდა
 1705-1706 წლების მიჯნაზე (20, გვ. 274).

ანაკლიის თურქული ციხიონი უაღრესად მძიმე პირობებში
 ეწეოდა სამსახურს... ოდიშარნი და აფხაზნი განუწყვეტლივ
 თავს ესხმოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ მათ. დროგამოშ-
 ვებით კი თურქთა წინააღმდეგ მძლავრ აჯანყებებს აწყობდნენ
 კიდეც. ასეთი აჯანყებები მოხდა 1714 და 1722 წლებში.

1714 წლის 6 ივნისს, გონიოს ყადრ ჯადარ ოსმანი თავის
 სულთანს წერდა:

ანაკლიის გარშემო მცხოვრები დადიანის ქვეშევრდომები და
 აფხაზი ურწმუნოები გაერთიანდნენ, ერთმანეთს გაუერთგულდნენ
 და ანაკლიისა და რუხის ციხეებისკენ ხმელეთითა და ზღვით
 მიმავალ ვაჭრებს, ჯარისკაცებს და სანოვაგის მზიდთ მგზავ-
 რობისას თავს ესხმიან, ძარცვავენ, ხოცავენ და სანოვაგეს იტა-
 ცებენ... ქუთაისისა და ანაკლიის მცველები შემწეობას და ურ-
 წმუნოთაგან განთავისუფლებას მოითხოვენ... (23, გვ. 92193)
 უაღრესად საყურადღებო ცნობაა ამ აჯანყებასთან დაკავში-
 რებით გონიოს თურქ მეციხოვნეთა წერილში სულთნის კარი-
 სადმი, რომელსაც თარიღად 1716 წლის 26 იანვარი უზის.

აფხაზმა და მეგრელმა ურწმუნოებმა „სოფლებიდან ჩამოსულ
 ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალესო“—ვკითხულობთ ამ
 დოკუმენტში. ქაფირი თურქული სიტყვაა და ურწმუნოს, არამაჰ-
 მადიანს, ამ შემთხვევაში კი ქრისტიანს ნიშნავს.



თუკი ამ ცნობას შევაჯერებთ გონიოს ყადის ჯაფარ ოსმანის/ ცნობასთან იმის შესახებ, რომ ქართველები და აფხაზები ლიისა და რუხის ციხისაკენ მიმავალ ვაჭრებს ძარცვავენ და ხოცავენო, ცხადი გახდება, რომ გონიოს თურქ მეციხოვნეთა წერილში ლაპარაკია, ქართველთა და აფხაზთა მიერ ტყვე- ბით ვაჭრობის აკრძალვაზე, რადგან, თურქ ვაჭართა უმეტე- სობა, დასავლეთ საქართველოში სწორედ ტყვეების შესაძენად ჩამოდიოდა.

1722 წლის მიწურულს დასავლეთ საქართველოში წინანდელზე უფრო მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა თურქთა წინააღმდეგ. აფხაზი და მეგრელი ურწმუნოები, სხვა ქართველი ტომები გონიოს, ბათუმისა და ანაკლიის ციხეებს და მათ გარშემო არსებული სოფლების მოსახლეობას ზიანს აყენებენო— ნათ- ქვამია 1722 წლის მიწურულს შედგენილ ერთ თურქულ საბუ- თში (23, გვ. 55).

ტრაპიზონის ვალის მუსტაფა -ფაშას ბრძანებით აჯანყებულ ქართველთა და აფხაზთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა ლაშქარი მეჰმედ-ფაშას სარდლობით, ამ ლაშქრობას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან ოდიშის მოაჯრისა და აფხაზე- ბის ხომალდები ნაპი-ნაპირ დაცურავდნენ და შიშის ზარს სცემდნენ ბათუმის, გონიოს, ფოთის, ანაკლიისა და ცხუმის თურქულ ციხიონებს. ამიტომ თურქეთის სულთანმა 1722 წლის 12 აგვისტოს თავისი საზღვაო უწყების ხელმძღვანელს უბრ- ძანა სასწრაფოდ აეგოთ ხომალდების „უდიდესი შენაერთი“, საგანგებოდ შეერჩიათ საქართველოს ზღვისპირეთის კარგად მცოდნე ხუთი მენავტეთუხუცესი (თურქულად კაფუდანი), თითოეულ ხომალდზე 29-29 ჯარისკაცი განეწესებინათ და სასწრაფო იერში მიეტანათ ქართულ სახელმწიფოებზე (23, გვ. 103).

მართლაც, სულ მალე საქართველოს ნაპირებისაკენ გა- იგზავნა 20 ხომალდისაგან შემდგარი შენაერთი (2, გვ. 883), ჩვენთვის ხელმისაწვდომი თურქული საბუთებიდან არ ჩანს, თუ როგორ დამთავრდა, ოსმალთა ეს მორიგი ლაშქრობა ქარ- თული სახელმწიფოების წინააღმდეგ, სამაგიეროდ ამის შესახებ ცნობა დაცულია ქართულ წყაროებში. „გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს და დასვეს ფაშა და კვალად ქმნეს ოდიშს ორნი ციხენი

იხუანი. შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღუევითა მიი-
თა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია და ფაშასა ფოთისასა მიათვალ-
ლესო სრულიად ზღვის პირნი“ — წერს ვახუშტი (2, გვ. 36).
ეს ამბავი მოხდა 1723 და არა 1725 წელს, როგორც ვა-
ხუშტის ეგონა.

თურქებმა საქართველოს ყველა ნათესაყუდელი ოჯდეს ხელთ,
რამაც ჩვენი ქვეყნის ისედაც მიძიმე პოლიტიკური მდგომარე-
ობა კიდევ უფრო დაამძიმა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V
ამის შესახებ რუსეთის იმპერატორ ანას 1737 წელს წერდა,
რომ 1723 წელს „... წარმოემართნენ საბრძა-
ძანებელნი ხონთისანი, ფაშანი, და მთავარნი მათნი და
ჩვენი სახლვრები ზღვით პონტოთ კერძო პირები ციხითა და
გოდლებითა აღავსეს და მოუთმენელსა ხარჯსა და ტყვეობასა
ქვეშე დაგვამწყვდივესო“ (26, გვ. 196).

1730 წელს, ანაკლიის ციხე-სიმაგრეს, რომელიც მთლიანად
ჩის მორებისა და თიხისაგან“ იყო აშენებული, აფხაზები დაესხ-
ნენ თავს და ნაწილობრივ დასწვეს. (23, გვ. 67).

თურქების მომდევნო ლაშქრობა სამეგრელოში ვახუშტის
ცნობით 1732 წელს მოხდა. ამავე ჟამოა — წერს იგი — მოვი-
და სხვა ფაშა ფოთს სპითა, რათა დაიპყრას ურჩნი ზღვის
კილისანი“... (2, გვ. 883) ოსმალებმა ამ ლაშქრობის დროს
მთელი სამეგრელო ააოხრეს და გაძარცვეს, ილორის ეკლესია
ცეცხლს მისცეს,

ამ ლაშქრობისას თურქთა ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი
ანაკლიის ციხე იყო, სადაც 1731 წელს დამატებით 126 მეცი-
ხოვნე ჩააყენეს 1730 წელს ანაკლიის ციხეში მხოლოდ 4
თურქი მეციხოვნე იდგა). 1732 წლისათვის კი ანაკლიის
თურქული ციხიონი 196 კაცამდე გაიზარდა (23, გვ. 66, 70).

ანაკლიის თურქული ციხიონი, 1723 წელს, რომელიც ვახუშტის
ზემოთდამოწმებული ცნობის მიხედვით ფოთის ფაშას დაუმორ-
ჩილეს, XVIII საუკუნის 30-იან წლებში უკვე სოხუმის ფაშას
განმგებლობაში გადასულა.

1737 წლის ლიხთიმერეთის რუკაზე, რომელიც ტიმოთე
გაბაშვილის მიერაა შედგენილი, გამოსახულია ანაკლიის ციხე,
რომელზედაც მიწერილია: „ანაკლიის ციხე თათართ უჭირავს.
სოხუმის მყოფთ ხელქვეშათა ათი კაცი დგა“ (3, გვ. 192).

იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის წერილშიც. რომელიც 1738 წელს მისწერა რუსეთის იმპერატორ ანას, სადაც აღწერილია ცნობაა დაცული: „ანაკლიის ციხე, რომელიც ვაშის ხელქვეითი არის, ჯარი არაფერი არ არის, ეგების ათიოდ კაცი იყოს. ჯაბახანა მაგდონი არ არის“. (28. გვ. 225). აქედან ირკვევა, რომ ფოთის ციხის კვალობაზე ანაკლიის ციხე, სადაც ამავე წერილის ცნობით „ორასამდინ კაცი, ჯაბახანა მომცრო, 50 დიდი თოფი ძევს.“ ანაკლიის ციხე ნაკლებმნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა.

ოდიშის მთავარმა ანაკლიის ციხე 1770 წელს დაიბრუნა. იმხანად საქართველოში მყოფი რუსი ოფიცრის ნიკოლაი იაზიკოვის (1740-1777) ცნობით, ანაკლიის ციხეში, 20 თურქი შემოსვლის ამბავის გაგებისთანავე თურქი მეცხიოვნეები გაქცეულან (31, გვ. 261).

სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი (1756-1788) ერთ-ერთ წერილში ამის შესახებ წერდა: „გრაფს (ტოტლებენს), რომელიც ჯარითურთ ხონში იმყოფებოდა, ვადაეწყვიტა ფოთის ციხის გარემოცვა. მე მოვამარაგე მისი რაზმი ხორაგითა და საზიდრებით, თვითონ გავაცილე და კეთილად მივიყვანე იმ ციხე-სიმაგრემდე, მინამ ჩვენ იქამდე მივიდოდით, ვუბრძანე ჩემს ჯარებს დაეკავებინათ თურქთა ორი სიმაგრე—ანაკლია და რუხი“ (31, გვ. 282). ტოტლებენის წერილის მიხედვით კი ანაკლია რუსთა რაზმს დაუკავებია და მისთვის ალექსეევკა დაუბრუნებია.

ქართველი კათოლიკე ხუცესის იოანეს (1730-1809) ცნობით ანაკლიის ციხე „დადიანმან და რუსებმან აიღეს“ 1770 წლის 14 დეკემბრისთვის (11, გვ. 131).

ოდიშის მთავარმა ანაკლიის ციხის შენარჩუნება დიდ ხანს ვერ შეძლო. ის კვლავ თურქების ხელში გადავიდა.

1787 წლით დათარიღებული ერთი თურქული მოხსენებიდან ირკვევა, რომ ანაკლიის თურქულ ციხიონს ოდიშის მთავარი კაცია დადიანიც კი დახმარებია ციხის გამაგრებაში. „ანაკლიის ციხეში ოდიშის მელიქმა კაცია დადიანმა ხისგან აშენებული ბურჯების გარდა ამჟამად ორი სართულის სიმაღლეზე ხის მტკიცე კედელი ააგო. ამ კედლის შუა ადგილები ქვითა და

თიხით აავსებინაო“— ვკითხულობთ ამ მოხსენებაში. ამასვე მოხსენების მიხედვით, კაცია დადიანს თურქი მოხელისა და მისი განუცხადებია: „თუ მე უმადლესი სახელმწიფოს“ (ანუ თურქეთის) მორჩილი ვარ, ამ ციხის კედლებისა და ბურჯების ამენება ჩემი მოვალეობა არისო, რადგან მე არ მსურსო „სხვა ვინმე მტერი მოვიდეს და დაიპყროსო“ (23, გვ. 89).

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის სახელმწიფო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აჩრდილიდა იყო ოსმალეთის უზარმაზარი, ძლევამოსილი სახელმწიფოსი, მას მაინც შერჩენოდა იმდენი ძალა, რომ მცირე სახელმწიფოებად დაქუცმაცებულ საქართველოზე ემძლავრა. იმისათვის, რომ თავისი ხელდებული ქართული სამეფო-სამთავროები მორჩილებაში ჰყოლოდა, სულთნის კარი ნაცად ხერხს იყენებდა: ქართულ სახელმწიფოთა მეთაურების ერთმანეთისათვის გადაკიდებას ცდილობდა და ადვილადაც ახერხებდა. თურქებს ანაკლია, როგორც ირკვევა აფხაზთა მთავრისათვის გადაუციათ. შემთხვევითი არ იყო ის, რომ აფხაზთა ციხიონს, რომელიც ანაკლიაში იდგა, სემიონ ბრონევსკის ცნობით, ქელეშ-ბეგ შერვაშიძე, „როცა თურქებთან მეგობრობდა... თურქულს უწოდებდა“ (30. გვ. 297). ანაკლიის ციხის აფხაზთა მთავრისათვის გადაცემით თურქებმა ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირეს: ერთი რომ ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები ერთმანეთს გადაკიდეს, მეორეც— ანაკლიის ციხე, რომლის ფლობა, ოდიშის მორჩილებაში ყოლის ტოლფასი იყო, აფხაზების მეშვეობით შეინარჩუნეს.

ერთი სიტყვით, აფხაზთა თავკაცები არად აგდებდნენ რა უეჭველი გადაშენების საშიშროებას, რომელიც დასავლეთ საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში თურქთა საბოლოოდ გაბატონების შემდეგ ელოდა თვით აფხაზთა მოდგმას, ვითომც აფხაზური დროშით ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლის მამებლურ, მლიქვნელურ და თვით აფხაზთათვის დამლუპველ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

მაგრამ ანაკლიის დაკარგვას ოდიშის მთავარი არასოდეს შერიგებია.

როგორც ირკვევა იმ „სხვა ვინმე მტერში“, რომელიც 1787 წლის აფხაზთა მთავარს ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს გულისხმობდა. ამას გვაფიქრებინებს ცნობა, დაცული პასუხში, რომელიც 1804 წელს ბესარიონ ჰყოხდიდელს, ნიკო დადიანს, ბექან დადიანს,

ბერი გელოვანს, გრიგოლ ჩიქოვანს და პეპუა ფალავას გაუ-
ციათ, რუსი მოხელის კითხვაზე — „რა იცით ანაკლიის ანაკლიის
შესახებ: „ანაკლია—ნათქვამია ამ პასუხში—დადიანთა წინაპ-
რების მიერაა აშენებული და ნავთსაყუდელს წარმოადგენდა
დადიანებისას, რასაც მათი სიგელიც გვიყვება, მაგრამ ვითა-
რებათა ცვლილებებისა გამო დაცარიელებულა. იმერეთისა და
ოდიშის აჯანყების დროს ქელეშ-ბეგმა მოიკრიბა გამბედა-
ობა და იქ თავისი კაცი ჩააყენა, გაამაგრა რა ის თავისთვის.
იმერეთთან შერიგების შემდეგ კაცია დადიანმა შეჰყარა
ოდიშისა და ლეჩუმის ლაშქარი, მიადგა ანაკლიას, აილო იგი
და თავისთვის დაიკავა, მცველად კი განაწესა თავადი და სარ-
დალი ჩიჩუა (36, გვ. 480).

აფხაზთა მთავრების მიერ ანაკლიის ციხის დაკავება, რო-
გორც ირკვევა 1772 წლამდე მომხდარა. რადგან ამ წელს
საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულ-
დენშტედტის (1745-1781) ცნობით, მისი იმერეთში ყოფნის
დროს ანაკლია აფხაზთა მთავრის სამფლობელოს საზღვრებში
ყოფილა მოქცეული (12, გვ. 325).

მეორე გერმანელი სწავლული იაკობ რაინეგსი, რომელიც
XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ცხოვრობდა,
წერს, რომ ანაკლია აფხაზთა მთავრის ლევან შარვაშიძის
სამყოფელს წარმოადგენსო (42, გვ. 5).

უალრესად საყურადღებო ცნობებს ამ დროის ანაკლიის
შესახებ გვაწვდის სემიონ ბრონევესკი (1763-1830) წიგნში, რო-
მელიც მან 1810 წელს დაწერა: „ანაკლია, თურქულად ანაკრა
წარმოადგენს ციხე-სიმაგრესა და ქალაქს ენგურის შესართავთან,
მარცხენა ნაპირზე შემოზღუდულია ქვის კედლებით, რომლებ-
ზედაც მოთავსებულია რამდენიმე ქვემეხი, მოითვლის 500
სახლს და 2000 მცხოვრებს... ეს ქალაქი, რომელიც 1799 წელს
სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს აფხაზეთის მთავარმა ქე-
ლეშ-ბეიმ წაართვა, დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს ლევან
დადიანს, ქელეშ-ბეის აქ ყოველთვის უყენა თავისი სა-
კუთარი ციხიონი აფხაზთაგან, მაგრამ როცა თურქებთან მეგო-
ბრობდა თავის ჯარს თურქულს უწოდებდა (30, გვ. 296-297).

1804 წელს ბესარიონ ჰყონდიდელის ნიკო დადიანისა
და ოთხიცი სხვა ოდიშელი თავადის მიერ რუსი მოხელისათვის

მიცემულ პასუხში, ანაკლიის ციხის შესახებ ცნობები დამოწმებულით არ ამოიწურება. „როცა მანუჩარი, დადიანისა კანონის წინააღმდეგ აჯანყდა და აფხაზეთში სული ქელეშ-ბეგს ევედრა გადადიანებაში დახმარებას, ამ უკანასკნელს ანაკლიისა და სხვა საზღაპიროს აფხაზეთისათვის გადაცემას დაპირდა. ქელეშ ბეგმა ლაშქარი შეჰყარა, სამეგრელოს საზღვრებს მიადგა და მოითხოვა ანაკლიის გადაცემა. მაშინ გრიგოლ დადიანმა მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მისცა ქელეშ-ბეგს ის 1794 წელს იმ პირობით, რომ ანაკლიაში ტყვეებით ვაჭრობა არ ჰქონოდა. მაგრამ ქელეშ ბეგმა დაარღვია პირობა, გააძლიერა ტყვეებით ვაჭრობა ამ ადგილებში და გრიგოლ დადიანს მტრად გადაეკიდა... ჩვენი ხელმწიფე დადიანი რომ არ გარდაცვლილიყო მას სურდა პირობის დარღვევისათვის ანაკლია დაებრუნებინა (36, გვ. 480).

რუსი მოხელის პეტრ ლიტვინოვის მიერ 1805 წელს შედგენილ მოხსენებაშიც ასეთივე ცნობაა დაცული, მაგრამ ეს მოხსენება ანაკლიის აფხაზთა ხელში გადასვლის თარიღად ზემოთ დამოწმებული წყაროსაგან განსხვავებულ თარიღს გულისხმობს.

„ანაკლია, რომელიც ენგურის შესართავთან მდებარეობს... 12 წელიწადი არ იქნება წინანდელმა დადიანმა დაუთმოო ქელეშ ბეგს“—გვითხულობთ პ. ლიტვინოვის ამ მოხსენებაში (36, გვ. 519).

იგივე პ. ლიტვინოვი 1804 წელს კი ასეთ რამეს წერდა მის მიერ შედგენილ „სამეგრელოსა და იმერეთის აღწერილობაში“: ანაკლია —ენგურის შესართავთან მდებარე ნავთსაყუდელი ოთხი „წელიც არ იქნება, რაც ქელეშ-ბეგის ხელში გადავიდა და მის დაუბრკოლებელ მმართველობაში იმყოფებაო“ (36 გვ. 410).

როგორ შეიძლება ერთმანეთს შევუთანხმოთ პ. ლიტვინოვის ორი განსხვავებული ცნობა? ვფიქრობ, პ. ლიტვინოვის ცნობებისა და ანაკლიის აფხაზთა ხელში გადასვლის შესახებ აქ დამოწმებული სხვა წყაროების შეჯერებით ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: 1780 წელს დაბრუნებული ანაკლია ოდიშის მთავარმა 1792 თუ 1794 წელს კვლავ დაკარგა. ის ისევ აფხაზთა

მთავრის განმგებლობაში გადავიდა, მაგრამ მალე ისევ დადბრუნა,
მაგრამ რომელ წელს ძნელი სათქმელია. 1799 წელს ანაკლია
უკვე მერამდენედ აფხაზეთის სამთავროს საზღვრებშია.
ლა.

აფხაზთა ციხიონი ანაკლიაში, როგორც თურქეთის დიდი
გეზირის სამდივნოს 1804 წლის ერთი საიდუმლო დოკუმენ-
ტიდან ირკვევა 71 ჯარისკაცისაგან შედგებოდა და ქვემეხებით
იყო შეიარაღებული (36 გვ. 576). ცხადია ესოდენ ვულმოდვი-
ნედ გამავრებული ციხე-სიმაგრის აღება ფრიად ძნელი იყო, მაგ-
რამ სამეგრელოს მთავარი არ ცხრებოდა, მას ანაკლიის
დაბრუნება ეწადა, რაც 1804 წელს გახდა შესაძლებელი რუს-
თა ჯარის დახმარებით. ისტორიკოსი ნიკო დადიანი (...1780-1834)
რომელიც თვითონ მონაწილეობდა ანაკლიის ციხის აღებაში,
ამბავს შემდეგნაირად აღწერს:

„წარვიდა რიკხოფ თვისითა მხედრობითა და მის თანა სპანი
ოდიშ-ლეჩხუმისანი და მივიდა ანაკლიას ციხესა ზედა, რომე-
ლი მას ჟამსა შინა მძლავრებით ეპყრა ქელაიშ-აჰმედ ბეგსა და
იყო გამავრებულ დიდითა მომზადებულებითა. და რა მივიდნენ
ნეორე დღესვე შეუტიეს მხედრებთა და აგრეთვე ჩვენთაცა და
სამსა საათსა ზედა აღიღეს იგი“ (13. გვ. 194).

აქ მოხსენიებული რიკხოფი არის რუსეთის სამხედრო
რაზმის სარდალი, გენერალი რიკჰოფი, რომელმაც 1804 წლის
ოქტომბერში აიღო ანაკლიის ციხე და იქ რუსთა ციხიონი
ჩააყენა.

როდესაც თურქეთის მთავრობამ ანაკლიის დაკარგვა შეიტყო
(აფხაზთა მთავარი თურქეთის ხელდებული იყო და ამდენად
ანაკლიას თურქეთი თავის საკუთრებად მიიჩნევდა), მომხდარის
გამოსარკვევად სასწრაფოდ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი
—აჰმედ-რეჯებ ეფენდი; რომელმაც რუსეთის მთავრობის მიერ
1804 წლის 27 მაისს დასავლეთ საქართველოში თავის წარ-
მომადგენლად დანიშნულ პ. ლიტვინოვს ანაკლიის დაცლა მოსთ-
ხოვა (36, გვ. 876-879). რუსეთმა, რომელიც სპარსეთთან ომში
იყო უკვე ჩაბმული, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას
თავი აარიდა და ანაკლია კვლავ თურქეთის ხელდებულ აფ-
ხაზთა მთავარს ქელეშ-ბეგ შარვაშიძეს დაუბრუნა (36, გვ. 452).
ანაკლია საბოლოოდ 1809 წლის მიწურულს იქნა განთავისუფ-
ლებული.

საქართველოს
ისტორიის
მეცნიერების
აქადემიის
ბიბლიოთეკა

1810 წლის 2 იანვარს გენერალი ტორმასოვი ვრათ რუმინს ცეცს წერდა: „ანაკლია... დაკავებულ იქნა რაზმის მიერ, რომლის იქ ჩაყენებაც უკვე ვბრძანებ მე“ (37. გვ. 417). ამრიგად თურქეთის ცდა თავიანთი ყურმოჭრილი მოხელის აფხაზთა მთავრების ხელით შეენარჩუნებინათ ანაკლია და სამეგრელოს სამთავროზე ბატონობა, მარცხით დამთავრდა.

რუსთა ციხიონი აქ რამდენიმე წელიწადი იდგა, მაგრამ შემდეგ. უ. გამბას ცნობით, იგი რუსებმა მიატოვეს, რადგან უსარგებლო ნავთსაყუდლად მიიჩნიეს. „ანაკლია ამ ორი წლის წინათ მიატოვესო რუსებმა“—წერს გამბა, რომელიც სამეგრელოში 1820 წელს იმყოფებოდა (4. გვ. 95).

ანაკლიის ციხე XIX საუკუნის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა. ყოველ შემთხვევაში 1831 წელს ეს ციხე ჯერ კიდევ თავის დანიშნულებას ასრულებდა (26. გვ. 52).

1855 წლის მიწურულს, ომერ-ფაშას შემოსევის დროს თურქებმა ანაკლიაც დაიკავეს. მათ მდინარე ჭურიაზე ხიდი ააშენეს და ამ გზით დაუკავშირდნენ მდინარე ნაბადამთვ გაჭიმულ თურქთა ჯარებს (40. გვ. 298).

1856 წლის 30 იანვარს გენერალი გრიგოლ დადიანი მეგრელთა ცხენოსანი რაზმით სოფელ დარჩელთან მდინარე ჭუმის ნაპირზე დაბანაკდა. 31 იანვარს მის მიერ გაგზავნილმა მცირე რაზმმა ანაკლიაში მტრის ერთადერთი ხერგი შეამჩნია, რომელიც უკვე მდინარე ჭურიისაკენ უკანდახეული ისკანდერ-ფაშას რაზმის მიერ იყო მოწყობილი. (40. გვ. 259). ანაკლია, მეგრელთა ლაშქარმა დაიკავა. უკანდახევისას მტერმა ცეცხლს მისცა ანაკლია. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჰავჭავაძე ჩიოდა: „ოსმალებმა რედუტ-კალეში (ყულევში), ანაკლიაში და სოხუმში ჩემი 100.000 მანეთის ღირებულების ნაგებობები მისცესო ცეცხლს“ (40. გვ. 148). საკუთვრივ ანაკლიაში ოსმალებს გადაუწვავთ ბაზარი და სხვა ნაგებობანი, ზარალს 1000 მანეთი შეუდგენია (26. გვ. 79).

სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნავთსაყუდელისა და სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა ანაკლიას XIX საუკუნეშიც არ დაუკარგავს.

1804 წელს შედგენილ რუკაზე („Карта части Мингрелии“) ანაკლია დატანილია როგორც ქალაქი (46) და ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. იმ ხანად ქალაქს სავაჭრო ცენტრებს უწოდებდნენ (აქედან მომდინარეობს სიტყვა ქალაქობა, რომელიც ვაჭრობას, ბაზრობას აღნიშნავს ქართულში).

1823 წლამდე ანაკლიაში იჯდა სამეგრელოს მთავრის მებაჟე. რატიების გუჯარში, რომელსაც მე 1664-1675 წლებით ვათარიღებ, ოდიშის მთავარი ლევან III (მამადავლე) დადიანი წერს: გვიბოძებია პაპუნა რატიასათვის, ხომალდები სადაც დადგეს: ტყაყურს და მორკუილას, ანაკლიას, ხორგას—მდივნობაი, მებაჟობაი, ჩუენი სახლის მოლარობაი...“ (15. გვ. 82).

1823 წელს რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს საზღვაოსაბაჟოები ოდიშის მთავარს ჩამოართვა და ამის სანაცვლოდ ყოველწლიურად 1600 ვერცხლის მანეთი დაუნიშნა (32. გვ. 166), მაგრამ მიუხედავად ამისა, მცირე უცხოურმა ხომალდებმა მაინც მიიღეს უფლება ანაკლიაში გაჩერებისა. რათა დატვირთულიყვნენ ადგილობრივი საქონლით. ეს კი ოდიშის სამთავროს ხაზინას ყოველწლიურად 3000 ვერცხლის მანეთის შემოსავალს აძლევდა.

1838 წელს, რუსეთის მთავრობამ ანაკლიაში მცირე უცხოური ხომალდების შესვლაც აკრძალა. მაგრამ ლევან V დადიანმა, საკმაო დიდი ხნის მიწერ-მოწერის შემდეგ 1842 წელს დაითანხმა რუსეთის მთავრობა, მცირე უცხოური ხომალდებისათვის დაერთოთ ანაკლიაში შესვლის ნება (32. გვ. 166).

ანაკლიაში ვაჭრობა განსაკუთრებით გაცხოველდა ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის გაყვანის შემდეგ. ამ გზის გაყვანა სამეგრელოს მთავრის სურვილით ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში იგეგმებოდა (38, გვ. 337, 26, გვ. 64), მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გახდა შესაძლებელი (33, გვ. 178-182).

უან მურიე 1883 წელს გამოცემულ წიგნში „სამეგრელო“ წერს, რომ ანაკლიაში „მხოლოდ 20 მოსახლე ცხოვრობს, მაგრამ სავიწრო ხომალდების მეტად მნიშვნელოვან ნავსადგურს წარმოადგენს. აქეთ მოედინება მთელი ზუგდიდის მაზრიდან ზღვით საზღვარგარეთ თუ ოდესაში გასაგზავნი სიმინდი“ (44. გვ. 290).

1895 წელს დიმიტრი ბოკერიას წერილში „ნავსადგური ანაკ-

ლია“, რომელიც გაზეთ „ივერია“-ში (№23) გამოქვეყნდა ვერსი-
ხულობთ: „ამ პატარა ნავსადგურს დიდი მნიშვნელობა აქვს/
დასავლეთ სამეგრელოსთვის, რადგან ერთის მხრით აქედანაა
აქვთ საზღვარგარეთ ერთ მილიონამდის ფუთი სიმინდისა და
მეორე, აქ გამართულია სახერხი ქარხნები, რომლებსაც
მუდამ ექირვება მუშა კაცი. ამიტომ ანაკლიაში ბევრია მუ-
შები და სიმინდით მოვაჭრენი, რომელთა შორის საზღვარგარე-
თელებიც არიან. უცხოელთ აქაც დაგვანახეს თუ რა დიდათ
წინ წასულან ჩვენზე და როგორ დახელოვნებულან ფულის
მოგებაში: ბევრმა სამშობლოდგან ხელცარიელად წამოსულმა ბერ-
ძენმა აქ დიდი სიმდიდრე შეიძინა“.

ბერძენების სავაჭრო საქმიანობა ანაკლიაში. სხვა წყაროები-
თაც დასტურდება. მაგალითად კომპანია „კოპას“-ს სიმინდის შემ-
სყიდველ მოლარედ ანაკლიაში მუშაობდა ბერძენი გიორგი კეფა-
ლიდი („ცნობის ფურცელი“ 1904. 24 მარტი).

XIX—XX საუკუნეთა მიჯნის ანაკლიის სევდიან სურათს
გვიხატავს ანაკლიელი მოღვაწე ს. გვასალია. „ზუგდიდსა და
ანაკლიას შუა გზატკეცილია —წერს ის—ეს გზა მეტად
გაფუჭებულია... აქაურ მკვიდრთა ნახევარზე მეტი გადმოსახლე-
ბულია ახლო-მახლო სოფლებიდან და ცხოვრობენ უვანათლე-
ბუღესი თავადის მინგრელსკის (დადიანის) მამულზე. მცხოვრებ-
ნი მეტად ღარიბნი არიან, რადგან შემოსავალზე მეტი ხარჯი
აქვთ... ჩვენს დაბაში ორმოცამდე ვაჭარია. ჩვენს დაბაშივე ყოღ-
ნობენ დიდძალ სიმინს და გააქვთ უცხოეთში. მეთევზე-
ობასაც ძალიან მისდევენ. მიწა ნოტიო და ჭაობიანია. ციებ-
ცხელება ძლიერ ფეხმომდგარია. აქ სულ წვიმს და ტბაში
აცურავთ. უფრო მეტად ივნისში (ცნობის ფურცე-
ლი“, 1903, №2336).

XIX—XX საუკუნეთა მიჯნის ანაკლიის სამეურნეო ცხოვრება
საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ან. დგებუაძის წერილებში,
რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა.

„შავი ზღვით —წერს ა. დგებუაძე— ბევრი სიმინდი გააქვთ
ამ დაბიდან რუსეთსა და საზღვარგარეთ. ვაჭრობასაც ძლიერ
ეტანებიან ამ დაბის მკვიდრნი... ადგილობრივი მდგომარეობა
ძლიერ ხელს უწყობს მცხოვრებთ ასეთ საქმეში და ამით აღებ-
მიცემობა ძლიერ ვითარდება („ცნობის ფურცელი“. 1904 წ.

1 სექტ.)

ა. დგებუადისავე ცნობით, ანაკლიაში „სიმინდის ვაჭრობის“ უმეტესობას შეადგენენ თათრები, რომელნიც სინდისევე და ხელსაყრელ ფასად ართმევენ მცხოვრებთ სიმინდსა და ზღვით ჰგზავნიან. ძლიერ გავრცელდა ამ ბოლო დროს აგრეთვე თხილის ყიდვა-გაყიდვა. წელს ამ დაბიდან და ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან გაზიდეს 15.000 ფუთი თხილი. ადგილობრივი მცხოვრებნი აქ, სოფელში ყიდულობენ თხილს 3-3 მანეთად და თვითონ კი 4-4 მანეთ ნახევრად ჰყიდიან. აქვე ზღვის პირად ორი-სამი სახერხი ქარხანაა, სადაც გლეხი ყოველ დღე შოულობს სამუშაოს. ქირა ერთი მანეთია. აქეთკენ მოეშურება ბევრი მუშა გურიიდან...

მემამულეების ხეები აქ საღდება. შორეული სოფლებიდანაც აქ მოაქვთ მდინარე ინგურით ხეები და ხელსაყრელ ფასად აძლევენ ქარხნებს“ (16, გვ. 4).

XIX საუკუნის მიწურულს ანაკლიაში ისე გაცხოველდა უცხოელებთან ვაჭრობა, რომ ერთად ერთი საბაჟო მოხელე ძლივს ართმევდა თავს თავის საქმეს (გაზ. „ივერია“, 1898. №238). დასავლეთ საქართველოდან მარცვლეულის გატანა ანაკლიიდან XVII საუკუნის მიწურულიდან წარმოებდა. პ. ლიტვინოვი 1804 წელს წერდა, რომ ადგილობრივი მარცვლეული, რომელიც წინათ ფოთიდან და ანაკლიიდან გაჰქონდათ, ახლა სანავარდოში იყიდებო (36. გვ. 418).

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე რომ ანაკლიის ნავსადგურს საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო, ეს კარგად ჩანს სარქივო მასალებიდანაც.

1901 წელს ანაკლიის ნავსადგურში შესულა 82 ხომალდი. ამავე წელს ანაკლიაში შემოიტანეს 330.105 ფუთი და გაიტანეს 632.604 ფუთი სხვადასხვა სახის საქონელი (17. გვ. 43-44).

1903 წელს ანაკლიის ნავსადგურში გადმოუტვირთავეთ 54000 ფუთი პურის ფქვილი. 39.000 ფუთი მარლი. 15.000 ფუთი ნავთი, 4000 ფუთი ცემენტი და სხვა საქონელი. სულ 130.000 ფუთი. გატანით კი გაუტანიათ 334000 ფუთი სიმინდი, 53.000 ფუთი ხე-ტყე და შეშა, 6.000 ფუთი ხილი და ბოსტნეული, 7.000 ფუთი თევზი. სულ 402.000 ფუთი სხვადასხვანაირი საქონელი (17. გვ. 44).

თუკი 1901 წელს აქ წარმოებული ვაჭრობიდან დაბა ანაკლიამ 633 მანეთი შემოსავალი მიიღო, 1909 წლისათვის შემოსავალმა 2.282 მანეთი შეადგინა (17, გვ. 44).

ს. გვასალიას, ა. დგებუაძისა და დ. ბოკერიას ზემოთ მოწმებული ცნობების შუქზე უკვე სავსებით გასაგები ხდება XIX საუკუნის მიწურულს. ა. ქუთათელაძის მიერ ჩატარებული იმერული ხატოვანი გამოთქმის — „გეგუთის ყანა და ანაკლიის ნალია“ — ს ნამდვილი შინაარსი (14. გვ. 303)..

ანაკლიაში ვაჭრობდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი ლაზები (რომელთაც ა. დგებუაძე თათრებად მოიხსენიებს), არამედ ოდიშარსიც. მაგალითად 1899 წელს, ანაკლიაში ვაჭარმა ბოკუჩავამ თურქული ხომალდით (სანდალით) 30 ურემი საქონელი ჩამოიტანა (გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1899, №870).

ანაკლიელები არა მარტო შესანიშნავი მეთევზეები, არამედ ბრწყინვალე ნავთმშენებლებიც იყვნენ. ისინი დახელოვნებულნი იყვნენ როგორც სხვადასხვა სახეობის ნაგების (ნიშის, ოჩხომელის, ოლექკანდერის...) აგებაში, ასევე მოზრდილი ხომალდების მშენებლობაშიც. 1816 წელს, მაგალითად ანაკლიელმა ოსტატებმა ააგეს რამდენიმე ხომალდი (30. გვ. 225). ლევან V დადიანის სავაჭრო ხომალდიონიც ცხადია ანაკლიელი და ყულეველი ნავთმშენებლების აგებული უნდა ყოფილიყო (38. გვ. 438).

სახომალდე მუხით მდიდარი იყო მთელი სამეგრელო. განსაკუთრებით კი სამურზაყანო. 1847 წელს ამის შესახებ მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი აღმირალ ლაზარევს წერდა: „სამურზაყანოში, შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის არისო ხომალდების მშენებლობისათვის ვარგისი, მალახარისხოვანი მუხის ტყე“ (39. გვ. 665).

ვაჭრობა — ხელოსნობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ანაკლიის მოსახლეობაც. თუკი 1885 წელს ე. მურიეს ცნობით ანაკლიაში მხოლოდ 20 მოსახლე იყო (44. გვ. 290), 1897 წლის აღწერის მიხედვით აქ 178 კაცი ცხოვრობდა

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ანაკლიელები უბადლო მეთევზეები იყვნენ, მაგრამ ძნელი იყო მათი ცხოვრება. ვინ იცის რამდენი მათგანი უმსხვერპლია აბობოქრებულ ზღვას. ს. დგებუაძის წერილში, რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№2707), მოყოლილია ანაკლიელი მეთევზეების ალექსი ხაბურზანიას, ნესტორ ხაბურზანიას, ბ. ჩაჩიბაიას და თ. ქელეჯ-ოღლის თავგადასავალი, რომელთა ფელუკა ენგურის შესართავთან ტალღებს გადაუბრუნებია. გასაჭირში მყოფთ ყულეველი ა. ჩიჭოვანი მიშველებია ანაკლი-

აში მდგარი თურქული საზღვაო ხომალდით, ქელელ-ოღლად
ხრწვალა, სხვები კი გადაურჩენიათ.

XIX საუკუნის მიწურულამდე ანაკლიაში არ არსებობდა
ლა. მხოლოდ ამ საუკუნის დასასრულს დააარსა აქ ერთ-
კლასიანი სამრევლო სკოლა მღვდელმა ს. თათარაშვილმა.
1898 წლის 10 ოქტომბერს ანაკლიაში გაიმართა სალიტერატურო
სალამო, რომელსაც სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები
დაესწრო. ამ სალამოს მთელი შემოსავალი ანაკლიაში
სკოლის ასაშენებლად იქნა გადაცემული. (გაზ. „ივერია“
1898, №238).

ჩვენი საუკუნის დამდეგს სცენის მოყვარეები ანაკლიაში
მართავდნენ სპექტაკლებს, რომელსაც დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

1903 წელს ანაკლიელი ს. გვასალია წერდა: „...25 ოქტომბერს
ჩვენც ველირსეთ წარმოდგენას. სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს
ბატონ გუნის „და-ძმა“. ხალხს ძალიან მოეწონათ ეს წარმოდგენა“
(გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1903, №2336).

ანაკლიაში რამდენიმე საუკუნეა მეგრელებთან ერთად ცხოვრობენ
მაჰმადიანი ლაზები, რომელთაც სამწუხაროდ ადგილობრივი მკვიდრი
თურქებს უწოდებენ.

1804 წლით დათარიღებულ ერთერთ თურქულ დოკუმენტში ნათქვამია:
„ანაკლია ფოთიდან თვრამეტი მილითაა დაშორებული... იქ დგას
ჯარი და ქვემეხები და ყველა მიდამო დასახლებულია
მაჰმადიანებით“ (36. გვ. 576). ცხადია ამ მაჰმადიანებში,
დღესაც ანაკლიაში მცხოვრები ლაზები იგულისხმებიან.

ანაკლიელი ლაზები ოდიშის მთავრის მიერ დანიშნულ მოხელეს
ემორჩილებოდნენ. დღემდის მოღწეულია ანაკლიელ მაჰმადიან
ლაზთა ცხოვრების ამსახველი ერთი საბუთი, რომელსაც თარიღად
უზის 1842 წლის 9 დეკემბერი. (ჩემბ-სა წელსა დეკემბერსა თ-სა).
აი, ეს საბუთიც:

„თქვენს განათლებულესობას, მეგრელიის მემკვიდრეს დვარდიის
პოლკოვნიკს და კავალერს დავით დადიანს.

ჩვენ ქვეშერდომთა თქვენთა ანაკლიის მცხოვრებლთა
მახმადიანთა, იბა ოსმანის შვილი მაპირა ჯიხოდლი, ოსმანი



სეფერია, ახმეტი იაიჯი იუსუფოლი მოგართვით ეს ხელით წერილი მას ზედა, რომელ რომელთამე ჩვენთა თავხედობა და უგუნურობისა, რომ არ ვიცოდით თქუენი საწუნი იქნებოდა. როგორმე ჩვენზედ მოხელეთ დაყენებულზე გული შეგვიძვირდა და ერთმანეთში პირობა მოვახთინეთ და მაზედ გაფიცებულნი აყრა და წასვლა წავაქადნეთ. ეს თქვენ მოგხსენებოდათ და ამაზედ შეგვიწყურით, რაისათვის ინებეთ და მოგართვიო ესეთი პირობა, რომ დღეის ამას იქით უწყსობა ჩვენ ველარ გავბედოთ, არამედ თუ რამე გავგიჭირდა და ან ვინმემ შეგვაწუხა თქვენ გვედროთ და ერთმანეთში ფიცი არ მოვახთინოთ და აგრეთვე თქვენის ყმობიდან არსად წავიდეთ და ვინც ამის პირობის წინააღმდეგი იქნება, როგორც ღირსეულად დასჯით ღმერთმან გისმინოს“ (45). ამ საბუთს, რომელიც ქართულადაა შედგენილი ბოლოში ოსმალურად ხელს აწერს ხუთი კაცი.

ამ საბუთიდან, რომლის ტექსტი რიგითი მკითხველისათვის ერთობ ბუნდოვანია, ირკვევა, რომ სამეგრელოს მთავრის მიერ დანიშნულ მოხელეს, რომელიც ანაკლიელ მაჰმადიან ლაზებს მეურვეობდა, 1842 წელს ეს უკანასკნელნი ასჯანყებიან, რისთვისაც მათ ტახტის შემკვიდრის დავით დადიანის რისხვა დასტეხია თავს, და მორჩილების დასამტკიცებლად ზემოთ დამოწმებული ხელწერილი მიუერთმევიათ მისთვის.

როგორც ვხედავთ, ანაკლიაში მაჰმადიანი ლაზები XVIII საუკუნის მიწურულიდან მაინც ცხოვრობენ. მიზეზი იმისა, რომ მათ ადგილობრივი მკვიდრნი „თურქებს“ უწოდებენ ისაა, რომ ქართველი კაცისთვის მაჰმადიანი, რაგინდარა ეროვნების, რაგინდარა ენაზე მოლაპარაკეც არ უნდა ყოფილიყო ის **თურქი** იყო, ისევე როგორც გრიგორიანული ქრისტიანობის მადიარებელი ნებისმიერი ეროვნების კაცი (მათ შორის ქართველი გრიგორიანიც) —სომეხი.

არადა ის ანაკლიელები, რომელთაც თანასოფლელი მეგრელები თურქებად მიიჩნევენ ჩვენი სიხლი-სისხლათაგანნი-ლაზები არიან. ერთ ლაზურ ლექსში ნათქვამია:

* ხელოვანი ფეოდალური ხანის საქართველოში ერქვა მოურავის თანაუმეფეს.



მჯვეში გურჯიმენ მოხთეს,
 გიჩქინი, ჯუმა ჩქიმი?
 ჩქინი გოჭკონდინერი ვორეთ,
 მჯვეშერ ჯუმა ჩქინი!
 ლაზი, გურჯი, მაგრალი—
 თელითი ჯუმა ჩქინი!
 თურქიქ დომჰვეს, დომხალეს,
 ამბაი ვარ გიჩქინი? (6. გვ. 144).

„ძველ ქართველთა მოდგმა ვართ, იცი კი ძმო ჩვენო? ჩვენ დავიწყებულნი ვართ, ჩვენო ძველო ძმო! ლაზი, გურჯი, მეგრელი—ჩვენ ძმები ვართ ყველანი! თურქმა დაგვევა, დაგვხრაკა ნუთუ არ იცი ეს?“.

ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ქართველი ერის განუყოფელი ნაწილის—ლაზთა მოდგმის ტრაგიკული ბედი. შეუძლებელია ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ არ გაგვიჩნდეს სინანულის ვრძნობა იმის გამო, რომ თურმე ჩვენს სისხლსა და ხორცს უცხოდ მივიჩნევთ, და ამით მკრეხელობას ჩავდივართ.

ანაკლიაში ლაზთა 15 გვარი ცხოვრობს. ესენია ოდაბაშ-ოღლი, ოქსუზ-ოღლი, რეიზ-ოღლი, სუფალ-ოღლი, სოფ-ოღლი, ქვაქულ-ოღლი, მაჭახელ-ოღლი, ქელეჯ-ოღლი, სოქთ-ოღლი, ალი-ოღლი, დემლიშ-ოღლი, თიკან-ოღლი, აბდულ-ოღლი, მოლა-ოღლი, და ალაზადე.

ანაკლიელი მაჰმადიანების ლაზურ წარმომავლობაზე უწინარესად მათი გვარები უთითებენ. გვარსახელების —თიკან-ოღლისა და მაჭახელ-ოღლის პირველი სიტყვების ქართველურობა ეჭვს არ იწვევს. თიკანი ან მისი კნინობითი ფორმა თიკანა ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული იყო, როგორც მამაკაცის სახელი ან თიკუნი აქედანაა მაგალითად ნაწარმოები გვარსახელი თიკანაძე (შდრ. მეგრული გვარსახელი ქაცარავა).

მაჭახელი ნატოპონიშარი ქართული ანტოპონიშია. (შდრ. მარჯველი). რაც შეეხება „ოღლი“-ს, ის თურქულია და შვილს აიშნავს.

ანაკლიელი ლაზების გვარების ერთი ნაწილი მათი არცთუ შორეული წინაპრების მაჰმადიანური სახელებისაგანაა ნაწარმოები. (ასეთებია: აბდულ-ოღლი, ალი-ოღლი). ზოგიც საქმიანობისა და

ხელობის აღსანიშნავი თურქულ სიტყვებს შეიცავს. მაგალითად ოქსუს-ოღლი თარგმანი უნდა იყოს ლაზურ გვარ-სახელ ომბოლისკირისა, რადგან თურქულად ოქსუს ობოლს, ხოლო ოღლი — შვილს. ლაზურად ობოლს. ომბო-ლი ჰქვია შვილს კი სკირი. (შდრ. გვარსახელი ობოლაძე). გვარი სუფალ-ოღლი ლაზურ კეტამსკირის ან კეტამიშის თარგ-მანად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან სოფალ სიტყვა-სიტყვით ჯო-ხიანს (ჯოხით, კეტით შეიარაღებულს) ნიშნავს (შდრ. გვარსახელე-ბი ჯოხაძე, კეტაშვილი...).

გვარსახელების რეიზ-ოღლის და ოდაბაშ-ოღლის მატარებელთა ის წინაპრები, რომელთა გამოც მიიღეს მათმა შთამომავლებმა ასეთი გვარები, შესაბამისად ხომალდის კაპიტანი (მენავტე) და სამხედრო მეთაური უნდა ყოფილიყვნენ, რად-გან რეიზი თურქულში ხომალდის კაპიტანს (მენავტეს) ნიშ-ნავს, ხოლო ოდაბაში იანიჩართა რაზმის, ოდას, ყაზარმის მეთაურს (43. გვ. 149).

თურქული სამოხელეო ტერმინები არათუ ლაზურში რომელ-მაც თურქულ ენობრივ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის გამო მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა თურქული ენისა (ლექსიკისა), არამედ ქართულშიც და მეგრულშიც გვხვდება საგვარ-ეულო სახელებში. მაგალითად მეგრულ გვარსახელში ყალიჩავა ადვილად ამოიცნობა თურქული სამოხელეო ტერმინი ყალიში. ეს უკანასკნელი ქართულში XVIII საუკუნის დამდეგს უკვე დამ-კვიდრებულია. 1709 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის წიგნში, მაგალითად იხსენიება ვილაც ყალიში ანდრია (5. გვ. 77).

სამწუხაროდ, ანაკლიელ ლაზებს დღეს უკვე აღარ ახსოვთ თავიანთი ძველი ლაზური გვარები, მაგრამ სამაგიეროდ საისტორიო წყაროებს შემოუნახავთ მათი წარსულის ამსახველი მოკრძალებული ცნობები.

აი, ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებზე



დაყრდნობით შეგვეძლოს მოგვეთხორო ანაკლიის ისტორიის შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად ამ შავიზღვისპირა ქართული სოფლის ისტორიის ამსახველი არაერთი საყურადღებო ცნობა შეიძლება გამოვლინდეს, რომლებიც ცხადია, უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნიან მის ისტორიაზე.

გამოკვლევები

1. გ. ალასანია, საქართველო „ვიპან ნუმა“-ს კავკასიურ რუკაზე. ყ. მაცნე“ (ისტორიის... სერია). 1971. №2.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV. თბ. 1973.
3. შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა... ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. 1. თბ. 1959. გვ. 192).
4. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1. თბ. 1987.
5. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. წ. 1 თბ. 1962.
6. ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი. 1972.
7. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1909.
8. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1981.
9. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტ. 1 ტფ. 1920.
10. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. ტფ. 1938.
11. შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები. თბ. 1979.
12. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. მე-2. თბ. 1964.
13. ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ. 1962.
14. ა. ქუთათელაძე, არხეოლოგიური მოგზაურობა. ყ. „კვალი“, 1897. № 15.
15. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტ. მე-2, ტფ. 1909.
16. ა. დგებუაძე, დაბა ანაკლია, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2613.
17. მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ. 1974.
18. ნ. ხოშტარია, დინა-გუძუბა. კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. V, № 2, 1944.
19. ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. 1. თბ. 1971.



20. ა. ტულუში. თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებების ისტორიიდან, „რიწა“, 1978. № 2.
21. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ. 1987.
22. შარდენის მოგზაურობა. თბ. 1975.
23. ნოდარ შენგელია, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიის და რუხის ციხეების შესახებ. თბ. 1982.
24. დიმიტრი ბოკერია. ნავსადგური ანაკლია. ვახ. „ივერია“. 1895, № 23.
25. ზ. კუტალიეშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ. 1987.
26. ც. ქირია, შ. სარია. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. თბ. 1967.
27. Т. Микеладзе, Д. Мухелишвили, Д. Хахутаишвили, Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции, Полевые Археологические исследования в 1977 году. Тб. 1980.
28. М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями. СПб. 1861.
29. Н. Устрялов. История царствования Петра великого. Т. IV. г. 1. СПб. 1863.
30. С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. ч. I. М. 1823.
31. А. Цагарели. Граммоты... т. I. СПб. 1891.
32. Т. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб. 1989.
33. В. Маевский. Кутаисская Губерния. Военно-статистическое описание. Тифлис. 1896.
34. Дж. Гвасалиа. Территория Грузии на Европейских картах Турецкой империи XVII века.
35. Б. Куфтин. Матерялы к археологии Колхиды. т. II. Тб. 1950.
36. Акты. Собранные Кавказской археографической комиссией. т. II. Тифлис — 1868.
37. Акты. Собранные Кавказской археографической комиссией. т. IV. Тифлис. 1870.
38. Акты. Собранные Кавказской археографической ком-



ისსიეი, ტ. VIII. ტიფლის 1881.

39. Акты, Собранные Кавказской археографической комиссией, т. X. Тифлис. 1885.

40. Акты, Собранные Кавказской археографической комиссией, т. XI. Тифлис. 1889.

41. F. Primaudaie, Histoire du commerce de la Mer Noire et des colonies génoises de la Crimée. Paris. 1848

42. J. Reineggs, Allgemeine historisch topographisch beschreibung der Kaukasus, II. SPB. 1797.

43. Z. Karamursal, Osmanli Mali Tarihi Hakkinda Tetkikler. Ankara. 1940

44. J. Mourier. La Mingrelie (Ancienne Colhide), Odessa, 1883.

საარქივო მასალები

45. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. საბუთი №224.

46. Центральный Государственный Военно Исторический Архив СССР. ф. ВУА. № 20497.

მხატვარი მურმან დემურია

ტექნიკური რედაქტორი რეზო ფაქავა

კორექტორები: ნინო ლაშხი ლელა ხუბულავა.

წარმოებას გადაეცა 14. 03. 91. ხელმოწერილია დასაბეჭდად
08.04. 91. საბეჭდო ქაღალდი №1. დაბეჭდილია ბრტყელ
დაზგაზე. მოცულობა 2,5 თაბახი. ტირაჟი 3000, შეკვეთა №918.

ფასი 2 მანეთი.

საგამომცემლო ფირმა „ორნატი“, ზუგდიდი, კოლხეთის 9.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობათა სახელმწიფო
დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, ზუგდიდი, მერაბ
კოსტავას ქ. №32.

316

51/10